№ 76. 9 აპრილი, ხუთშაბათი. 1866—1881 9 აპრილი, ხუთშაბათი. № 76.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ, იგ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებისა-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სიღოზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროებას“ და „ივერიას“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროებას“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერიას“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., მეწვრილებულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებულით ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

შემდეგი ნომერი „დროებისა“ გამოვა კვირას, აღდგომა დღეს, 12 აპრილს.

## ტელეგრამმები

ლონდონი, 7 აპრილს. დღეს დილის 5 საათზე გარდაიცვალა ლორდი ბიკონსფილდი.

პეტერბურღი სბირჟა, 6 აპრილს.
(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 97 | „ |
| მეორესი | 94 | 12 |
| მესამესი | 94 | 62 |
| მეოთხესი | 93 | 87 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 92 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92 | 75 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 96 |
| თფილისის სადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | 90 | „ |
| ქუთ. სადგ.-მამ. ბანკისა | 90 | 75 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 228 | 4 |
| მეორე სესხის | 218 | 7 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 24 | 62 | პენსი |
| ჰამბურღი | 210 | 50 | ცენტი |
| პარიჟი | 260 | 75 | სანტიმი |
| ბერლინი | 125 | „ | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — | — | |

## ახალი ამბები.

გუშინწინ, 6 აპრილს, ჩვენი ქალაქის რჩევამ განიხილა გამგეობისა და კამისიის მოხსენება იმის შესახებ თუ რით მოიხსენოს ქალაქმა მიცვალებულ იმპერატორი ალექსანდრე მეორის სახელი. რჩევამ მიიღო და დაამტკიცა შემდეგი წინადადება ქალაქის გამგეობისა და კამისიისა:

ა). ქალაქის რჩევის ზალაში დადგას მიცვალებულ იმპერატორის ალექსანდრე მეორის მარმარილოს ძეგლი, იმ თვით მმართველობის სახსოვრად, რომელიც ხსენებულმა იმპერატორმა მიანიჭა რუსეთის ქალაქებს;

ბ). გამართოს ქ. თფილისში საავათმყოფო ჯერ-ჯერობით 30 ავათმყოფებისათვის, რომელსაც ერქმევა სახელად „იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახსოვარი საავათმყოფო“;

გ). ამ საავათმყოფოს ასაშენებლად ქალაქი დაუთმობს ადგილს;

დ). თვითონ შენობასაც თავის ხარჯით ააგებს.

ე). საავათმყოფოს ხარჯს ქალაქი მისცემს თავის შემოსავლიდამ და ზოგს საზოგადო ხელის-მოწერით შემოსულ ფულიების სარგებლიდამ.

ვ). 4 აპრილის სახსოვრად გამართულს ქალაქის საავათმყოფოს დაერქვას სახელად ქალაქის საავათმყოფო ალექსანდრე II-სა.

***

ამ დღეებში კიდევ გამოვიდა ერთი ნომერი გ. ტერ-მელიქსეტიანცის რუსულ-სომხურ გაზეთისა „Трудъ“ („შრომა“)

***

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ პეტერბურღში გაგზავნილი დეპუტაცია გუშინწინ დაბრუნებულა ამ ქალაქში.

***

ქუთაისიდამვე გვატყობინებენ, რომ ამ ქალაქში გარდაცვლილა ამ დღეებში ერთი შეძლებული სომეხი ქ. ზალინოვი, რომელსაც ანდერძი დაუტოვებია, რომ, თუ ეკკლესიის გალავანში დამმარხავთ, ეკკლესიისათვის 1000 მან. დამიტოვებიაო, ქუთაისის სომხის სკოლისათვის 2,500 მან. და ეჩმიაძინის აკადემიისათვის 1000 მან. მაგრამ თუ გალავანში არ დამმარხეს, ამ შემთხვევაში მხოლოთ 1000 მან. სკოლისათვის მიანდერძებია და 1000-იც ეკკლესიისათვისაო. რადგან ადმინისტრაციამ არ მისცა ნება გალავანში დასაფლავებისა, ამის გამო 1500 მან. სკოლას მოაკლდაო და 1000 მანეთიც ეჩმიაძინის აკადემიას.

***

ქვემო-იმერეთიდამ გვწერენ, რომ სოფ. კურსებს ბევრ ქალსა და კაცს გამოსჩენია ცუდი ავათმყოფობა, რომელიც თან-და-თან ვრცელდება, ხალხს ედებაო. საჭიროა ექიმი და ყურის მგდებელი, თორემ ეს საძაგელი ავათმყოფობა შეიძლება მალე სხვა სოფლებსაც გადაედოსო.

***

განჯის გუბერნიიდამ იწერებიან, რომ ბევრ ალაგას კალია გამოჩეკილა კვერცხებიდამ; სხვათა შორის, ნუხის უეზდში, ზაქათალის მაზრის სამზღვარზე, უანგარიშო კალია გამოჩეკილა და ადმინისტრაციას ხალხი გამოუყვანია ამ კალიის გასაწყვეტად.

***

ოზურგეთიდამ კიდევ გვწერენ, რომ გურიის ზოგიერთს სოფლებში, ქურდების დასაჭერად, ჩაყენებულის მილიციონერებისაგან ხალხი ძალიან შეწუხებული არისო; ზოგიერთი ოჯახებიდამ სახლის-პატრონები გარეთ გამოჰყარეს მილიციონერებმა და თვითონ კი სახლებში დგანანო.

***

ჩვენ მივიღეთ ახლად-გამოსული ისტორიული მონოგრაფია ბ. დ. ზ. ბაქრაძისა—„ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართველი ტომის დასაწყისზე“. ეს პატარა წიგნი, როგორც წინანდელები ბ. ზ. ჭიჭინაძისაგან არის გამოცემული და ისყიდება თითო აბაზად.

## რუსეთის ამბები.

თუ რა უძლური იყო ადმინისტრატიული ბრძოლა რევოლიუციონერებთან, გაზ. „ზემსტვოს“ მოჰყავს ამის შესახებ ცნობები ერთ ოფიციალურ ბროშიურიდამ, ადრინდელ შინაგან საქმეთა მინისტრის მაკოვის მოგზაურობის აღწერა ოლონეცკის მაზრაში,

## «დროების» ფელეტონი, 9 აპრილს.

### სცენა

(სასაფლაო. რამდენიმე მატური დგას. ორი გლეხი საფლავს სთხრის; გვერდით უდგათ ბოთლით არაყი, ყველი და პური.

პირველი გლეხი. (თან სთხრის და თან მღერის.)

> ურემსა თივა დავუდე....
> დავუდე და დავეშალა...
> გოგო იქით გამეცალე,
> სალერღელი ამეშალა!...

ჰე-ჰეი! ე ჯულ-ძალლი რა მაგარი თიხაა, ერთი საათია ვუფხაკუნებ ბარსა და ვერა დავაკელი-რა!... მოიტა, დემეტრე, ე წერაქვი... ერთი ი ქიმი თუ არ ამოვაგდებინე, არ იქნება! ი ჯულ-ძალლი წორეთ ეშვისავით არის გაშვერილი!...

მეორე გლეხა. (მიაწვდის წერაქვს) აჰა, დაიჭი და ი კუთხეები დაათანასწორე, ცოტა ამოღმერთილია. ეგრე დაჰყევი ირგვლივ... ბიჭო! ქობას რათ უშვებ? გვერდები ჩამოუკვერცხე.... აი, ეგრე აი!...

პირველი. (დაიყვირებს) ო-ჰო, ჰო, ჰო! ე რამოტელა კანჭია, შენი ჭირიმე, დედაე! ამის პატრონი სწორეთ ხუთასი წლისა იქნებოდა! გაჩვენო, დემეტრე?

მეორე. რათ მინდა, რო მაჩვენო? ე პანდ გვერდებში წაფალი სადმე, ქრისტიანი კაცისა იქნება ვისიმე....

პირველი. ჰეი, მიწავ! რამდენ კაცსა სჭამ, შე რჯულ დაკარგულო! რა ღმერთი გაგიწყრა, რით ვერ გაძეხი?! შენთვინ არც მდიდარია, არც ღარიბი, არც დიდი და არც პატარა!... (ამხანაგს). მითომ მდიდარიც ასე დაიშლება საფლავში? ჰა, დემეტრე?

მეორე. არ ვიცი, ჩემო ძმავ! ის კი გამიგონია, რომა წმინდა კაცსაო, აი როგორც ჩვენი დიაკვანი ისაკა იყო, იმითანა კაცსაო მიწა არ მიიღებსო...

პირველი. როგორ თუ არ მიიღებსო, მაშ ზევით ამოისვრისო?

მეორე. ამოისვრის კი არა და.... იმითანა კაცსა მიწა არ მიიღებსო, ნათელი შემოეხვევა გარსაო, და ასე გვგონება, გამბაშია წევსო...

პირველი. (თავის ქნევით). ეჰე-ჰე! დახე ჩვენ დიაკვანს, რა ამბავში ყოფილა!... მაშ რახან აგრეა, ბლალოჩინები სულ თივთიკში იქნებიან გახვეულნი, ჰა?

მეორე. რა ვიცი! დოჰტოლრივ კი არ შემიძლიან ვსთქვა და ასე ამბობენ....

პირველი. მოდი დემეტრე, ახლა შენა თხარე, თორე, ძალიან დავიღალე. ბარემ მოვჩეთ და პატარა პურიც შევხრათ! (ამოვა და საფლავთან დაჯდება).

მეორე. აბა მომეცალე! (ჩადის). უჰუ! კარგა, მოგითხრია! (სთხრის).

პირველი. კარგია, ნულარ ყბედობ, საცა არი მაასვენებენ!

(ამ დროს გამოჩნდება ყმაწვილი კაცი, ევროპიულის ტანისამოსით, თავზედ შლიაპა ხურავს. მოვა გლეხებთან).

— გამარჯობა თქვენი! (გლეხები ხმას არა სცემენ). გამარჯვება თქვენი! (ხმას არა სცემენ). არ გესმით, თქვე ბრიყვებო?

პირველი. (ფეხზე ადგება, შეტევით) რას ამბობ, კაცო? აჰისთანა საქმეში კაცს „გამარჯობას“ ეტყვიან?! ეი!...

ყმაწვილი კაცი. მითომ რატომაო?

პირველი. დახედე ე? არა, რა ძალიან კარგ საქმეს ჩვენ ვადგივართ, რომ „გამარჯობას“ გვეუბნები?!

ყმაწვ. კაცი. ჰო, კარგი!... მალე იქნება მზათა?

პირველი. არა, ადათი არ არის, რომ თქვენ ევრე ბრძანოთ! უმაწვილი კაცი ხარ და ეს უნდა იცოდე! რათა გწყინს? ჩვენ გამოცდილები ვართ და ვიცით. არა, „გამარჯვებას“ რომ გვეუბნევი, ნიშნობა გვაქვს, თუ ქორწილი?

ყმაწვ. კაცი. (გულ-მოსული). შენ რასაც გკითხავ, იმის პასუხი მომეცი: მალე იქნება, თუ არა? ერთი საათი დავიგვიანებთ.

პირველი. რაღა გაჯავრებს? ერთ საათში, თუ გინდა, ხუთი კაცისთვის მოვთხრით! მალე იქნება მაშა! აი ათავებს კიდეც.

ყმაწვ კაცი. ჰო და ეგრე სთქვი რაღა! (მიდის) СКОТИНА!...

პირველი. (მიაძახებს.) აპრუწუწუნ შენ საქმეს!... თავზე იმოდენა ფლავის საწურავი ახევს და ის კი არ იცის,

1879 წ. სტატია თავდება შემდეგის სიტყვებით:

„მთელი ერთი კვირის განმავლობაში გადავჩხრიკ-გადმოვჩხრიკეთ ჩვენ შინაგან საქმეთა მინისტრის საქმეები და უმნიშვნელო რამეების მეტი ვერა ვნახეთ-რა შიგ; რევოლიუციონერები კი ამ დროს რამოდენიმე ალაგას უმზადებდნენ ხელმწიფეს აფეთქებას. 19 ნოემბერს აუფეთქეს კურსკის რკინის გზა, მოსკოვის ახლო. 5-ს თებერვალს 1880 წ. აუფეთქეს საზამთრო სასახლე. სამი შესაძრწუნებელი ბოროტ-განზრახულება მოხდა იმპერატორის სიცოცხლეზედ, ერთის წლის განმავლობაში, მაკოვის მინისტრობის დროს.

დამტკიცდა, ცხადათ აღმოჩდა, რომ ძველი კაცები უძლურები არიან. საჭიროდ დაინახეს მოენახათ ახალი კაცები სახელმწიფო საქმეების მმართველათ. ამ გვარ კაცად აღმოჩდა გრაფი ლორის მელიქოვი, რომელმაც თავიდამვე გამოიჩინა პოლიტიკური გამჭრიახობა და დაიმსახურა თანაგრძნობა საზოგადოებისა. საზოგადოებაც თითქო დამშვიდდა და რევოლიუციური მოძრაობაც თითქო შეჩერდაო. მაგრამ, ვაი, გრაფი ლორის მელიქოვი შეიქნა იმ ერთ მერცხლათ, რომელსაც მარტო არ შეუძლიან ზაფხულის მოყვანა. მას გარს ეხვიენ ძველი წარმომადგენელნი რეაქციის დროისა, რომელნიც ხელს უშლიდნენ მას. საზოგადოება მოუთმენელად მოელოდა რეფორმებს და ვერც ერთს კი ვერ ეღირსა. აი, ამ დროს ისევ გაიღვიძა რევოლიუციურმა მოძრაობამ და მოხდა 1 მარტს შესაძრწუნებელი ამბავი.“

— გაზ. „მოსკოვის ტელეგრაფს“ აცნობებენ, რომ რუსის ელჩს ლონდონში, თ. ლობანოვ-როსტოვსკის მოუვიდა ბრძანება მოსთხოვოს ინგლისის მმართებლობას დათმობა სახელმწიფო დამნაშავის გარტმანისა, რომელიც იმალება ინგლისშიო.

— ახალ მინისტრს სახალხო განათლებისას, ბარონ ნიკოლაის, დაუვლია უნივერსიტეტები და უთქვამს პროფესორებისათვის, რომ იმედი მაქვს მტკიცეთ შეასრულებთ 1863 წ. დადგენილს წესდებასაო: უნივერსიტეტები ისეთი ადგილია, სადაც მუდამ საქმეზედ და სწავლაზედ უნდა იყოს ყურადღება მიქცეული, და არა სხვა რამეზედაო.

— ამ მოკლე ხანში იქნება მოლაპარაკება რუსეთსა, გერმანიასა და ავსტრიას შუა პოლიტიკურ დამნაშავეთ ერთი ერთმანეთში გაცემის თაობაზედ.

— ბერნიდამ (შვეიცარ. ქალ.) იწერებიან: „პრუსიელი სტუდენტები შუამდგომლობენ, რომ რუსის სტუდენტები ემიგრანტები განდევნილ იქმნენ შვეიცარიის უნივერსიტეტებიდამაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

გორი, 5 აპრილი. „დროების“ № 69-ში ამა წლისა იყო შენიშვნა ბ. ა. თუთაევისა ლიახვის მოვარდნაზე და მისგან დიდი ზარალის მიცემაზე. ამ საგანზე წერა ახალი არ არის: შარშან, შარშანწინ რამდენჯერმე იყო რუსულ და განსაკუთრებით ქართულ გაზეთში მოხსენებული ორი უბნის წალებაზე ლიახვისაგან; გაკიცხული იყო ქალაქის სამმართველო, მისი უთაურობა, გულგრილად ცქერა საცოდავი ხალხის დაღუპვაზე. ამ ხალხის უბედურობამ, ამათ წიხლის დაქცევამ სამმართველოსაგან თითქმის ხელმწიფემდინ მიაღწია.

მაგრამ გორის სამმართველო ყურს არ იბერტყს; სწორედ ქვის გულები სწყობიათ ხმოსნებს, შეუწყალებელი გულები, როგორიც შეუწყალებელია თვით ლიახვი.

ჭეშმარიტად, გასაოცებელია ამათი საქმე: მოვარდება წყალი-ეს მესამე წელიწადია—მიაქვს სახლები, მშვენიერი ბაღები; ქალაქის პატრონები, ნაცვლად ენერგიული ზომიერების მიღებისა, ჩასხდებიან ფაიტონში და აუვლ-ჩაუვლიან, თითქოს მადლობის სათქმელად მიდიოდნენ ლიახვთანო! მტერი რა არის, მტერიც კი ატირდება, თუ უნახავს ადრინდელი მდგომარეობა ამ ორი ქუჩისა და ეხლანდელს შეადარებს.

ბ. ა. თუთაევს ბევრი რამეები დავიწყებია, მაგრამ უმაღლეს მთავრობას მაინც მიუქცევია ყურადღება და დაუნიშნამს ინჟინერი ბ. პსაროვი, რომელიც ეხლა გორშია; ამან გაშინჯა, შეამოწმა, შეადგინა აქტი, რომელშიაც მოიხსენა ყოველისფერი. პსაროვს უთქვამს, რომ ლიახვს ცუდი მიმართულება მიუღია, თუ ამ ახლო მდებარე არხს შეუერთდა, რომელიც არხთან ძალიან ახლოა, მაშინ სამეფო ქუჩასაც უნდა ეშინოდესო.

საკვირველია გორის მეპატრონეების სიბრმავე! მინამ ზემოდამ სუსხი არ დააყენეს, მინამ უმაღლესმა მთავრობამ არ იკისრა მიპატრონება, ამათ ხმა არ ამოიღეს; ამათ ეს ამოდენა უბედურობა უბედურობად არ მიაჩნდათ, ეს ამოდენა ზარალი, აყრა-დაყრა მცხოვრებლებისა, ზარალად არ მიაჩნდათ! თუ თქვენ, რომლების პირ-და-პირ მოვალეობას შეადგენს, ყურს არას უგდებთ ქალაქს, სხვა რა გავამტყუნოთ? რისთვის ხართ? რის მაქნისი ხართ? რად სჭამთ ქალაქის ფულებს? ხალხის ასაღელვებლად ცრუ ლაპარაკით როდი ხართ დაყენებულები! თქვენ გირჩევენ პატრონებად, მომვლელებად, „ხოზიაინებად“. გაიგეთ!

ახლა ხომ უგდებთ ყურს, როცა სუსხი დაგაყენათ მთავრობამ? აქნამდინ რატომ არა გჯეროდათ, რომ ქალაქის ორი საუკეთესო უბანი, ეს ორი ქალაქის სასიამოვნო ადგილები წაახდინა, გაათხრა ლიახვმა? ასეთი შეუწყალებელი მტერობა პატრონისაგან თავის შვილებისა რომ არ გაგონილა?! რატომ ამას არ ჰფიქრობთ, რომ ქალაქს ფული დააკლდება იმ უბნების წალებითა?!

თუ არა გჯერათ ეხლაც, როცა პსაროვმა მაგ სქელ ყურებში ხელი წაგავლოთ და ზედ დაგიდოთ ცხვირი, რომ ლიახვმა ორი ახლად შეძინებული, სამოთხის მგზავსი, უბანი წაიღო, აი კიდევ ჩამოგითვლით. წმინდა წყლის უბნიდამ დავიწყოთ:

შარშან და შარშანწინ წაიღო, ან დაანგრია სახლები ბბ. ზუბიევისა, რომლის უსაცოდავესი გორში ცოტა მოიძებნება, ხიმშიევის ქვითკირის სახლები, მექუდე გაბუასი (გვარი არ მახსოვს), იოსებ ონიაშვილისა, რომელსაც სამოცი თუმანი დაეხარჯა და ნახევარად დაქცეული რვა თუმნად გაჰყიდა, ივანე მინდიაშვილსა, ალექსა ნალბანდისა, (გვარი არ ვიცი), მღვდლის თვალიაშვილისა, გრიგოლ ტატიევისა, ზახარ შარიმანოვისა, გორის რკინის გზის სტანციის ნაჩალნიკის მშვენიერი სახლები, ივანე ჩაფრისა (გვარი არ ვიცი), ა. თუთაევისა, რომელმაც მშვენიერი ბაღჩა გააკეთა, ბაღნულობა დასთესა, დიდხუთშაბათს გაათავა სახლების დადგმა და მეორე დღეს წითელ პარასკევს, დაუნგრია და სხვ. და სხვ.

წელს იქვე, წმინდა-წყალზე, გასტეხა მასწავლებლის პ. ბურჯანაძის მშვენიერი ქვიტკირის ორ-ატაჟიანი სახლები, მოგლიჯა საათაშვილის ბაღი, გოძიაშვილის, არბოლიშვილის ბაღები და კარმიდამო და ახლა სახლებს გვერდში გამოუდით, მაისურაძის ბაღი გაგლიჯა, მირიანოვის დიდის შრომით და ოფლით გაკეთებულ ბაღზე ზედ გადიარა, წყლით

---

რომ კედარზედ გამარჯობა არ უნდა თქოს!

მეორე. ი რა თქო, ტიმოთე, რო გაბრუნდა? კატინაო! რათა თქო?

პირველი. მითომ კატინა ხარო, დედა-კაციო, რომ ეგრე ნელა მუშაობო... კარგია, ამოდი, ერთი ბეწო პური შევჭამოთ.

მეორე. (ამოდის და იბერტყება). მე და ჩემმა ღმერთმა, ტიმოთე, შენა! კაცმა თავის დღეში არ უნდა გაგიგონოს!... რა ძნელი სათხრელი მიწა ე ვერანი; მე ექვს უზალთუნ ნაკლებ არ წამოვიდოდი... შენ კი მიყავი აი!

პირვ. მოდი, დაჯე, რას ოხრობ ერთი შენცა! ჩემი ვარაუდით ექვს უზანთულზედ მეტიც მოგვდის: მანეთი ხომ ფულათა, სადილიც მაგათია, ერთი კარგათ რომ გამოვიბრინჯო, მგონია, თუნგ-ნახევარი დავლიო. ახლა ე საუზმეცა...

მეორე. კარგია, კაცო, რაც არი, არი. (ხელს გადიბანენ და ჩოხის კალთით იწმენდენ. დასხდებიან). აბა, ტიმოთე, დაასხი!

პირვ. (დაასხამს). ღმერთმა აცხონოს დღევანდელი მიცვალებული! ჩვენი დედ-მამის სულიც ღმერთმა შეიწყალოს!. (პურს დააწვეთებს და დალევს). ოჰოოო! რა ოტკაა, რა ოტკა! სწორეთ პირტია, პირტი! ერთი ამითი მაჯერებინა გული! (დაასხამს). მიირთვი, დემეტრე!

მეორე. (გამოართმევს სტაქანს). ღმერთო, დიდებულო! შენა წყალობდე აქა ბძანებელთა, ტიმოთესა და დემეტრესა; ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მიცვალებულსაც. (სვამს).

პირვ. (იღუშება). ვჰეი! სიკვდილო!.. რა ხარ, შე ჯუღ-დავარდნილო! იმ ქალს, დემეტრე, იცი, მზეთ-უნახავს ამბობდნენ...

მეორე. ვინ არის? სადაურია, ვისი შვილია?

პირვ. ვინ იცის! საიდღანაც არის გადმოკარგული; ძალიან გაკეთებული ოჯახის შვილს კი ანბობენ... ერთი ყმაწვილი ბიჭი ყოფილა, ის მოწონებია იმ გოგოსა და სახლიდან გამოპარულა. ასეთ რამეს ამბობდნენ, რომ იმითანა არა იქნება-რაო!

მეორე. გამოპარულაო?! (პირჯვარს იწერს). აი დიდება შენთვის, ღმერთო!.. ეხლა კი მოკვდა, ჰა?..

პირვ. ჰო!

მეორე. მერე რით მამკვდარა?

პირვ. ეშმაკმა იცის! არ იცი, მაგ თანა ხალხი რითი კვდება! მომეტებულ შაქრის პურებს სჭამდა, გულზედ მოაწვებოდა და ერი!

მეორე. დახედე! განა შაქრის პური წყენს კაცსა?

პირვ. ოოო, ძალიან! იმ დღეს ჩვენმა ღვდლის შვილმა მამცა ერთი ბეწო ნატეხი, ჩავიდე პირში და, ცოტა გაწყდა, არ დამახრჩო ი ვერანმა... (იყურება). ე რა ამბავია, დემეტრე? შახედე, რამოტელა გოგოების ჯელგა მოდის!

მეორე. (უყურებს). უჰ! სწორეთ ერთი ქვეყნისაა!

პირვ. ბიჭოს!.. აქეთკენ მოდიან! დემეტრე, მოდი, ჩვენი ბიჭობა მოვიგონოთ და ავეტორღიალოთ მა გოგოებს!

მეორე. რას ამბობ, კაცო! ვერა ხედამ, რა რიგათ არიან დართულნი, სულ ნაჩალიკის ქალები იქნებიან.

პირვ. ნაჩალიკისაო? უჰ!.. აბა კაი ჯიშის დედაკაცი იმასა ჰყოლია! სულ გოჭებივით არ გაუყრია, დახედე!

მეორე. კარგია, ტიმოთე, ბარემ გავათაოთ! მიცვალებულსაც, საცა არის, მოიტანენ.

პირვ. მაშ ადე, ჩადი და გვერდები შამოუთანასწორე, სხვა არა უნდა-რა! (მუშაობენ). (მოვლენ რამდონიმე ქალი; ზოგს ქართულათ აცვია, ზოგს ევროპიულათ).

პირველი ქალი. ქალებო! ქალებო! დახედეთ, საფლავსა სთხრიან.

მეორე ქალი. ნეტა ვისი იქნება! ახალგაზრდისა მაინც არ იყოს და ბევრს ჯანი გავარდეს!

პირვ. ქალი. მოდით, გენაცვალეთ, ვკითხოთ, ვისი საფლავია!

მესამე ქ. (რუსულათ ჩაცმული მიუახლოვდება გლეხს). Слушай, для кого эта могила?

პირვ. გლეხი. ჰააა?

ქალი. Для кого эта могила?

პირვ. გლ. (თავს აქნევს) Никакой... (ხელს იქნევს). Не знай...

აავსო; გასტეხა არხი და მიეცა ს. ლამბაროვის ახლად-აშენებულ ყაზარმას, რომელიც დასცალეს რუსებმა, აავსო დერციკის მ. ბეგოიძის ახლად-აშენებულივე სისხლის ოფლით სახლი და თითონ ცოლ-შვილით გაასწრო.

ახლა რამდენი შემოღობილი, გაუმართავი ადგილები, გაარიყევა—ამის ანგარიში ვისა აქვს, ან ვინ ჩამოსთვლის.

ახლა ქვეით უბანი ავიღოთ: შარშან და შარშანწინ მოსწმინდა სულ ერთიანად ამ ახალ გაშენებული ქუჩის მშვენიერი ბაღები. ბორის-ჯვრის მთიდამ რომ გადმოიხედავდა კაცი, ერთ მშვენიერ დიდ ბაღად წარმოუდგებოდა მთელი ეს უბანი; ერთის შეხედვით ქუთაისს მოგაგონებდათ; თითო ბაღი ავიღოთ საშუალო რიცხვით სამოცი თუმანი სულ-ცოტა, აქ ნუ ჩავაგდებთ სამუსაიფოებს (**бесѣдки**) ნუ ჩავაგდებთ ივანოვის სამუსაიფოს, რომელიც ღირდა თამამად ოც და-ათი თუმანი, იმის და ვერცინსკის ძვირფასს ბაღებს; წაიღო დავიდოვის წისქვილი, გასტეხა ამისივე სახლი, ჟურულის სახლები; წრეულს დაანგრია სამთლისკუდოვის სამზარეულო და სახლებს შიგ გამოუდის, ლოლაძის სამზარეულო, თ. პაპანაძის სახლები. მაზრის უფროსის თანაშემწის სახლების სამზარეულოები, ბარამოვის სახლები, პრისტავის ზვარამაძისა, ჩიფიანისა და სხ. და სხვ.

თითო კაცის ზარალი ამ სამი წლის განმავლობაში ამ ქვემო უბანში იქნება სულ-ცოტა, ძალიან ცოტა, ორასი თუმანი. თითო კაცის მდგომიარობა, გამართულობა სულ უკანასკნელი ოთხასი თუმანი ღირდა და ზოვისა ათასებიც. ამ უბანში სცხოვრობდა ოცი კომლი; ოცჯერ ორასი-ეს თქვენი ოთხი ათასი თუმანი (40,000 მან.) წმინდა-წყლისა ამის ნახევარი ჩავაგდოთ, რადგან იქ ბაღები ყველას არ ჰქონდა,—სულ იზამს ექესი ათას თუმანს (60,000 მ.) *) განა საწყალი, ღარიბ ხალხისათვის ეს საგრძნობელი ზარალი არ არის? რამდენი ულუკმა-პუროდ დარჩა და თავისი უკანასკნელი გროშები სახლებში ჩაჰყარეს!..

აი ამოდენა ზარალი მოუვიდა ხალხს ამ სამი წლის განმავლობაში და სამათ-სამი ზომიერება არ მიიღეს, სამსამჯერ არ შეიტკივეს თავი?!

ეს ორი უბანი ნაოხარს ჰგავს ეხლა. ყველა გაკვირვებულია ქალაქის სამართველოს გულქვაობაზე; რომ დაიწერება რამე ამათ უვარგისობაზე, მოიხევენ ტუჩის ლაშებს და ღრიალებენ:—ტყუილი დაუწერიათო! მაგრამ ვისაც გული აქვს, ის გრძნობს ამ ხალხის უბედურობას; ვისაც თვალები ჯერ არ დაჰბრმავებია, ის ცხადად დაინახავს; ვისაც ყურებში სისუქნე არ გასვლია და არ დასქელებია, ის გაიგონებს; ერთის სიტყვით —ყველა დარწმუნებულია, რომ ქალაქის სამმართველომ ნამდვილი მტრობა, მტრობა საშვილი-შვილოდ ამოუფხვეკელი, გაუწია ამ ორ უბნის ხალხს: შეეძლო და არ მოუარა; პური ეჭირა ხელში და ქვა მიაწოდა. ან რად მიეცით საწყალს ხალხს ეს ადგილები და გაიტყუილეთ, ან სად წაალებინეთ?

იმედია, რომ ბ. პაროეი რიგიან განკარგულებას მოახდენს.

წკოლა.

*) ექვსი ათასს ვწერ მაგრამ ამ ფასად მარტო აი ამათი გამართულება ღირდა: დავიდოვისა, ჟურულისა, ვერცინსკისა, სამთლიკუდოვისა, ივანოვისა და მამოევისა.

# სამართალი

## ხელმწიფის მკვლელების საქმე.

სენატის სასამართლო.

(სხდომა 29 მარტს)

(დასასრული *)

ბამოძიების გათავების შემდეგ, თავსმჯდომარის წინადადებით, პროკურორმა მურავიევმა წარმოსთქვა ბრალდებულთა გამამტყუვნებელი სიტყვა. პროკურორმა დილის 10 დაიწყო სიტყვა და ნასადილევის 5 საათზე გაათავა; ამ ხნის განმავლობაში სამჯერ ნახევარ-ნახევარ საათი შეისვენა, ასე რომ ხუთი საათი ილაპარაკა. მოვყავს შემოკლებით ამ სიტყვის შინაარსი:

პროკურორმა დაიწყო თავის სიტყვა რუსეთის რევოლიუციურ მოძრაობის ისტორიულად განხილვით. გამოიკვლია—თუ ამ მოძრაობამ, უკანასკნელის ათის წლის განმავლობაში, რა-და-რა ცვლილება მიიღო, თუ პირველად რა გზას ადგნენ რუსის სოციალ-რევოლიუციონერები და მერე რა გზას დაადგნენ; მოიხსენა—თუ რა ენერგია და თავგანწირულება გამოიჩინეს იმათ თავიანთ ბოროტ-განზრახვით საქმეებში და რამდენი ჭკუა და მოხერხება. პროკურორის აზრით, მოთავე ხელმწიფის მოკვლაში იყო ჟელიაბოვი, რისაკოვი მხოლოთ იმის ხელმძღვანელობით და დარიგებით მოქმედებდა. პროკურორს არ სჯერა „აღმასრულებელ კამიტეტის“ არსებობა; ამათ უნდათ გაბერონ თავიანთი ძალა და მნიშვნელობა და იმიტომ ამბობენო, რომ ბევრი მომხრეები და თანამგრძნობნი გვყავსო. ბოლოს დასკვნა თავის სიტყვა „ტერორის“ პარტიის აღწერით და მოიყვანა კანონები, რომლის ძალითაც ყველა ბრალდებულნი სიკვდილით დასჯილნი უნდა იქმნენ, ჩამოხრჩობილნიო.

*) „დროება“ № 75.

ბრალდებულთა დამცველებმა მხოლოთ ორ-ორი სიტყვა სთქვეს თავიანთ კლიენტების დასაცველად. რისაკოვის დამცველმა უნკოვსკიმ თვითონ პროკურორის სიტყვები მოიყვანა და ამტკიცებდა, რომ რისაკოვს ამ საქმეში თაოსნობა არ ჰქონია, სხვების დარიგებითა და ჭკუით მოქმედებდაო. კიბალჩიჩის დამცველმა ნაფიც ვექილმა გერარდიმ საინტერესო ფაქტი მოიყვანა: ციხეში ჯდომის დროს, ოთხის დღის განმავლობაში, კიბალჩიჩმა მოიგონა ჰაერში საფრენი მაშინა, რომლის სურათი იმას, გერარდს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის გარდაუცია.

მოგეხსენებათ, რომ ჟელიაბოვმა უარი სთქვა დამცველის აყვანაზე: მე თვითონ დავიცვავ, ჩემ თავს, ვიტყვი, რაც სათქმელი მაქვსო. როდესაც იმან დაიწყო ლაპარაკი, სასამართლოს ზალაში სიჩუმე ჩამოვარდა. ჟელიაბოვმა დიდხანს ილაპარაკა რუსის რევოლიუციურ პარტიის მოქმედებაზე და იმ გარემოებაზე, რომელმანც ეს მოქმედება დაბადა. დაწვრილებით აუხსნა იმან სასამართლოს რევოლიუციურ პარტიის წყობილობა და წესები. ერთს ადგილას თავის სიტყვაში იმან, სხვათა შორის, სთქვა: „მე ნამდვილი რუსი ვარ“ და რუსის ხალხის სასარგებლოდ ვმოქმედობდიო! ეს სიტყვები სასამართლოს ზალაში მყოფ მაყურებლებს არ მოეწონათ და, როგორც გაზეთებში იწერებიან, ამ დროს ზალაში სტვენა მოისმა და უკმაყოფილების ხმაურობა მოისმა საზოგადოე[illegible] ერთი თვალი გადაავლო საზოგადოებას და მერე ისევ განაგრძო თავის სიტყვა. ყველაფერს თავის თავზე ჰკისრულობდა ის, ყველაფერში მოთავე და დამნაშავე მე ვარო, სხვები ყურმოჭრილ ყმებსავით მისმენდნენ რასაც ვიტყოდიო.

თავსმჯდომარემ წინადადება მისცა პროკურორს, პასუხი სთქვას ბრალდე-

---

ქალი. **Кого тамъ будутъ хоронить?**

პირვ. გლ. **Одинъ** მათუშკა (ხელით ანიშნებს, მოკვდაო). **Ухлай** და აქ ჩადე, ჩადე! (საფლავზე აჩვენებს).

ქალი. **А кто такая была эта женщина?**

პირვ. გლ. ჰა? **хто такой** და **нипригола...**

ქალი. **Что ты толкуешь?** (გამობრუნდება, ქალებს). **Спросите, пожолуйста, кого тамъ будутъ хоронить?**

პირვ. გლ. დემეტრე! ერთი შახედე, რანი არიან! მითომ ამათი ქმრებიც პურსა სჭამენ?

მეორე. ეჰ, ერთი შენცა! რა დროს ეგენია, კაცო?

პირვ. გლ. რა დროს ეგენია, მე შენ მოგახსენო, შენ წელკავიან ცოლსა გვანან!.. მაგათ რომ კაცმა ი აწითლებულ ლოყაში ჩაპროშტოს, რაღა პური და ღვინო უნდა; მე მგონია, სულ დაიბნიდოს!

პირველი ქალი. (მიუახლოვდება). კაცო! ეგ ვისი საფლავია?

პირვ. გლ. (სიცილით). ბებია ჩემი მარინესი!..

პირვ. ქალი. ი! თვალიც დაგიდგება! მითხარი სწორეთ, ვისია?

პირვ. გლ. (ამხანაგზე უჩვენებს). აი შიგ რომ ზის, იმისია, ეხლავე მიწას მივაყრი...

პირვ. ქალ. კარგია, ნუ ხუმრობ!

პირვ. გლ. (იქით). ოჰ! შენი ქრისტეს ჭირიმე, რა გოგოა! (იმას). თუ გაგიგონიათ, ერთმა ყმაწვილმა ბიჭმა რო ქალი მოიტაცა, იმ ქალის საფლავია;

პირვ. ქ. თუ ღმერთი გწამს, ნუ მომატყუებ!

პირვ. გლ. (პურს აიღებს). სიკვდილის დღეს დამეკვეთოს ეს, თუ ვტყუოდე!

პირვ. ქალ. ქალებო! ქალებო! იცით ვისა მარხავენ? სონას!

ქალები. ვინ სონაა?

პირვ. ქ. დათიკო ვ—შვილმა რომ მოიტაცა!

ქალები. იჰ! სტყუის! სწორე გვითხარი შენ გაზდას!

პირვ. ქ. დედმამა არ დამეხოცება აი, თუ გინდათ, ჰკითხეთ!

მეორე ქ. ჰი, საწყალი ქალი! მერე რამ მოკლაო?.. როგორ აქებდნენ, მაგისთანა ლეკური ჯერ ქართველ ქალს არ უთამაშნიაო!.. საბრალო...

მესამე ქ. მაგის სიმღერა? . რა ქალი იყო! მე რომ ეგ მცხეთობას ენახე მორთული, სწორეთ ანგელოზსა გვანდა... ასე, ქალო-ჯან: თეთრი ატლასის კაბა, კუწუბ-კუწუბი რუშებით შემოვლებული ქვემო ტანი; სარტყელ-გულის პირი ოქრო-მკედით ნაკერი ცის ფერ ატლასზედ; თავსაკრავი წითელ ხავერდზედ ოქრომკედით ნაკერი სწორეთ იმ ნიმუშისა, ბურთიკიანთ ეფემიას რომ აკვრია ხოლმე სტუმრობაში. მშვენიერი ბლონდის ნაცური ლეჩაქი, სწორეთ ხელის სიპტყე აბრეშუმის არშია. ბაფთასფასებული დადიოდა საცოდავი... ჰი შენ ბედს, მე საბრალოვ! (წუწუნით). ის მშვენიერი დაკულულებული კავები შავმა მიწამ უნდა შეჭამოს!.. ვაი შენს ბედს! (ყველანი თავს იქნევენ და ზუზუნებენ).

(ამ დროს კუბოსაც მოიტანენ და საფლავის პირზე დაასვენებენ. როგორც უნდათ, საფლავში ჩაუშვან, მოისმის სონას დედის მოთქმით ტირილი).

— შვილო!.. შვილო!.. მაჩვენეთ ჩემი შვილი!.. სად არის ჩემი შვილი... ჩემი დახატული სონა!.. (მორბის შავს ტანისამოსში, ლეჩაქი გადასაფასებული, კავები გაწეწილი, თავზე-მოსასხევი გახსნილი. დაემხობა კუბოს) — შვილო! შენ გენაცვალოს დედა, ხმა გამე!.. რაზედ დამწვი და დამდაგე, შვილო!.. რა გინდოდა ჩემგან?! რათ დამაჭერ ორივ ძუძუები!.. ხმა გამეცი, გენაცვალე, შვილო-სონა-ჯან! — სადა ხარ აქ? რა გინდა? ვინ დაგამწყვდია ამ ბნელ კუბოში?!.

ოჰ, ღმერთო! შე დალოცვილო, რაზედ წამართვი ჩემი ერთად ერთი შვილი?.. ჩემი ნანატრი ქალი... დედის ურჩი სონა... შვილოო!.. (დაეკვრება კუბოს; ხალხი თავ ჩაღუნული სდგას; ყველა მხრიდამ მწარე ქვითინი მოისმის. რამდენიმე მიწაც... და გეგლეს სონას ზარით-ღრიალით სამარეს დაუშვებენ).

ა. ჩ.

თფილისი, 3 აპრილი.

ბულთა სიტყვაზე; მაგრამ პროკურორმა გამოაცხადა, რომ მეტი აღარა მაქვს-რა სათქმელიო.

თავსმჯდომარემ მიმართა ბრალდებულებს და უთხრა იმათ, თუ გსურთ უკანასკნელი სიტყვა სთქვითო. ყველამ თითო-ოროლა სიტყვა სთქვეს. რისაკოვმა დაბალის ხმით გაიმეორა, რომ მე მხოლოთ ხალხის ნივთიერ მდგომარეობის განკარგებისათვის ვფიქრობდიო. მიხაილოვმა სთქვა, რომ 1 მარტს, ხელმწიფის მოკვლაში, მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო. იგივე სთქვა გესსა გელფმანის ქალმაც. კიბალჩიჩმა მოიხსენა თავისგან მოგონილი ჰაერში საფრინავი მაშინა. სოფიო პეროვსკიამ პროკურორის სიტყვის უპასუხოდ სთქვა, რომ სცდებაო, როდესაც ამტკიცებსო, ვითომც ჩვენ კაცის სიცოცხლე არად მიგვაჩნდეს. სადოვოის და მკატირინეს არხი იმიტომ ამოვარჩიეთ ჩვენ ხელმწიფის მოსაკლავ ადგილად, რომ აქ ცოტა ხალხი დაიარებაო და ამიტომ ბევრი მსხვერპლი არ იქნებოდაო. ჟელიაბოვმა სინანული გამოაცხადა, აქ რად ვილაპარაკე რევოლიუციურ პარტიის შესახებაო.

ღამის 11 საათზე პრენიები გათავდა. სასამართლო ცალკე ოთახში წავიდა კითხვითი მუხლების დასადგენელად. საზოგადოება ფეხს არ იცვლისზალიდამ.

დილის 3 საათზე სასამართლო გამოიდა და გამოიტანა ყველა ბრალდებულთ შესახებ კითხვითი მუხლები. ორივე მხარე პროკურორი და დამცველები, ბრალდებულნიც დათანახმდნენ ამ მუხლებზედ. სასამართლო ხელახლად გავიდა მეორე ოთახში თავის განჩინების დასადგენად.

საშინელი წამია ეს წამი ბრალდებულთათვის, რომელთაც არ იციან — სიცოცხლე მოელის იმათ, თუ სიკვდილი. დარწმუნებულიც რო იყვე, რომ სიკვდილი მოგელის, პირის-პირ შეხვედრა იმისი ძნელი რამ არის... ამბობენ, არც ერთს ბრალდებულს, გარდა ჟელიაბოვისა, ადამიანის ფერი არ ედვათ, სასამართლოს გამოსვლას და თავის ბედის-წერის შეტყობას ელოდებოდნენო...

ბოლოს, დილის მეშვიდე საათზე სასამართლო გამოვიდა და თავსმჯდომარემ მაღალის ხმით წაიკითხა ის განჩინება, რომელიც ჩვენმა მკითხველმა იცის და რომელიც უკვე აღსრულებაში არის მოყვანილი.

მხოლოთ კიბალჩიჩმა მოინდომა ამ განჩინების პირის მიღება, ე. ი. პროტესტის წარდგენა; დანარჩენებმა კი არა.

## ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. *)

**ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ** ამით აცხადებს, რომ ქვემო-მოხსენებულ პირთა ბანკში დაგირავებული უძრავი მამულები, ბანკის წესდების § 15 თანახმად, დანიშნული არიან გასასყიდლად, რადგან ამ მამულების პატრონებს თავის დროზე არ შემოუტანიათ ბანკში წესდებით დადგენილი გადასახადი ფული (თავნი და სარგებელი).

მამული აღარ გაისყიდება, თუ იმის პატრონი ხვედრ ფულს შემოიტანს.

| სახელი, მამის სახელი და გვარი მამულის მეპატრონისა. | რა გვარი მამულია? | სად მდებარეობს მამული? |
|---|---|---|
| **ჩოლოყაშვილი**, ნიკოლოზ თადეოზის-ძე. | სახნავ-სათესი, სათიბი და საბალახე ადგილი და ტყე, 5774 დესიატინა და 775 საჟ. | Თფ. გუბ. და უეზდ., სოფ. ყარაბულახში, პალდოს, უჯარმას და სამგორს. |
| **ჯამბაკურიან-ორბელიანები**, გრიგოლ და ივანე კოს—ნეს-ძენი. | სახნავ-სათესი, სათიბი ადგილი და ტყე, 1731 დესიატინა 1570 საჟ. | Თფ. გუბ. და უეზდ, სოფ. ყიზილაჯილოს (იგივე იპარა და ტამას-კულას) და საჯიშში. |
| **ნათიევისა**, მარიამ ზაალის ასული. | სახნავი ადგილი და ტყე 56 დესიატ. 120 ოთხ-კუთ. საჟ. | Თფ. გუბ., დუშეთის უეზდ, სოფ. საშაბუროში. |
| **საგინოვი**, მიხეილ პაატას-ძე. | სახნავი ადგილი და ტყე 2052 დესიატ. 448 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ., თელავის უეზდ., სოფ. ზემოხოდაშენი, ახალბადა და ახშაანი. |
| **ერისთავი**, კონო მირიმანის-ძე. | სახნავი, საბალახე და სითიბი ადგილები და ტყე 1009 დეს. | Თფ. გუბ. დუშეთის უეზდ., სოფ. წალდო. |
| **ჩოლოყაშვილი**, ილია ზაალის-ძე. | სახნავი ადგილები და ტყე 3042 დეს. | Თფ. გუბ., სიღნაღის უეზდ., სოფ. ჭიაური. |
| **დოდაევისა**, თამარა ალექსანდრეს ასული. | საბალახე ადგილები და ტყე 1020 დეს. 1920 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ., თელავის უეზდ., სოფ. ზემოხოდაშენი. |
| **გაბაშვილი**, იოსებ დავითის-ძე. | სახნავი ადგილები 148 დეს. 1860 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ. და უეზდში სოფ. ოქროყანა. |
| **ერისთავნი**, რაფიელ და იოსებ დავითის-ძენი. | სახნავი და სათიბი ადგილ. და ტყე 900 დესეტ. | Თფ. გუბ. თიანეთის უეზდ. სოფ. ბოჭორმა. |
| **ერისთავი**, გიორგი გიორგის-ძე. | სახნავი და სათიბი ადგ. და ტყე 800 დეს. | იქვე. (Თფ. გ. თიანეთის უეზ., ს. ბოჭორმა). |
| **შალიკაშვილი**, გეორგი რაჟდენის-ძე. | სახნავი, სათიბი და საბალახე ადგილ. და ტყე 426 დეს. 1873 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ. გორის უეზდ სოფ. სკრა. |
| **შალიკაშვილი**, დარია გულბათის ასული. | სახნავი, სათიბი და საბალახე ადგილ. და ტყე 673 დეს 866 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ. გორის უეზდ. სოფ. სკრა. |
| **შალიკაშვილები**, კ..სტანტ.... როსტომის-ძე ნიკოლოზ, გიორგი, მიხეილ და მართა დიმიტრის-ძენი და სალომე პანტელიმონის ასული. | სახნავი სათიბი და საბალახე ადგილ. და ტყე 1447 დეს 2996 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ.გუბ.გორის უე.ზ სოფ. სკრა. |
| | | Თფ. გუბ. და უეზდ. სოფ. მართისა. |
| **გაბაშვილი**, ადრია მიხეილის-ძე. | სახნავ სათიბი ადგ. 106 დეს. 520 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ., სიღნაღის უეზდ., ს. ბურჯაანი. |
| **შალიკაშვილი**, იოსებ ივანეს-ძე. | სახნავი ადგილ და ტყე 270 დეს. | Თფ. გუბ., გორის უეზდ. სოფ. ნაცრეტი. |
| **ამილახვარი**, ივანე თეიმურაზის-ძე. | სახნავი ადგილები 151 დეს. და 1756 ოთხ-კ. საჟ. | Თფ. გუბ. და უეზდ. სოფ. საგაბაშვილო—თხინვალს. |
| **გაბაშვილი**, იოსებ დავითის-ძე. | სახნავი და საბალახე ადგ. 178 დეს. 2011 ოთხ-კუთხ. საჟ. | Თფ. გუბ. და უეზდ. სოფ. ძველთუბანში, საფარლოში, ვართევანის სოფელი. |
| **ორბელიანი**, ვახტანგ ვახტანგის-ძე. | სახნ. ადგ. და ტყე 1977 დეს. 1280 ოთხ-კუთხ. საჟ. | Თფ. გუბ., თელავის უეზდ. სოფ. ზემოხოდაშენი. |
| **ანდრონიკაშვილი**, რევაზ იოსების-ძე. | საბალახო ადგ. და ტყე 1053 დეს. 1440 ოთხ-კუთხ. საჟ. | Თფ. გუბ. და უეზდ. სოფ. თოხმიკინცა, სადახლო და ქვეოფოფსანი. |
| **მელიქიშვილი**, ივანე ალექსანდრეს-ძე. | სახნ., საბალახე ადგ. და ტყე 1559 დეს. 760 ოთხ-კუთხ. საჟ. | Თფ. გუბ., გორის უეზდ., სოფ. ქვემონიჩბისი. |
| **ციციშვილი**, დავით ივანეს-ძე. | სახნავ., საბალახე ადგილ. 87 დეს. 960 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ. და უეზდ. დაჩა მუსიკალა და შინდლიარი. |
| **ორბელიანი**, ვახტანგ ვახტანგის-ძე. | სახნავ სათიბე და საბალახო ადგ. 1434 დეს. 1120 ოთხ-კუთხ. საჟ. | |
| **ქარუმიძე**, ივანე პაატას-ძე. | სახნ. ადგ. 12 დეს., 1444 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ., გორის უეზდ. სოფ. თორთისი. |
| **თარხან-მოურავისა**, მარიამ ბიძინას ასული. | სახნ. სათიბი ადგილ. და ტყე 545 დეს. 1645 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ. გორის უეზდ. დაჩა სათუხარლოში. |
| **ამილახვარი**, ამირინდო ამირინდოს-ძე. | სახნ. სათიბი ადგილები 145 დეს. 1756 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ., გორის უეზდ. სოფ. ნაცრეთი. |
| **ვარლამოვი**, ალექსანდრე იაკობის-ძე. | სახნ. სათიბი და საბალახო ადგ. 266 დეს. | Თფ. გუბ, და უეზდ. სოფ. თხინვალის მახლობ. |
| **ერისთავი**, მსტატი მირმანოს-ძე. | სახნ. საბალახე ადგ. 280 დეს. 2006 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ., გორის უეზდ. სოფ. ახსისი. |
| **ანდრონიკაშვილი**, ზაქარი იასეს-ძე. | სახნ. სათიბი და საბალახე ადგ. და ბუჩქნარი 4765 დეს. | Თფ. გუბ. და უეზდ. სოფ. ლამბალო. |
| **კორდანოვები**, ვასილ, ზაქარია, გრიგოლ, იოსებ, ალექსანდრე და მიხეილ აველის-ძენი. | სათიბი ადგილებ. და ტყე, როგორც საბალახე 203 დეს. 120 ოთხ-კუთხ. საჟ. | Თფ. გუბ. და უეზდ. შავთა და ვანეთის დაჩაში. |
| **ჯაფარიძე**, მიხეილ სოლომონის-ძე. | სახნ. ადგ. და ბაღი 5 დეს. 600 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ., გორის უეზდ. სოფ. ფლავის |
| **ზანდუკელი**, გრიგოლ დავითის-ძე. | სახნ. და საბალახო ადგილი 24 დეს. | Თფ. გუბ. დუშეთის უეზდ. სოფ. არემისი. |
| **მაღალაშვილისა**, ნინო სარდიონის ასული. | ვენახი ზომით 6 დესიატინა. | Თფ. გუბ. სიღნაღის უეზდ. ს. ბაკურციხე. |
| **ყანჩელები**, ივანე, იოსებ, და ქაიხოსრო ქრისტეფორეს-ძენი. | ვენახი, ერთ სართულიანი ქვის შენობა და წისქვილი—1935 ოთხ-კუთხ. საჟ. | Თფ. გუბ. გორის უეზდ. მეტეხის დაჩაში. |
| **ზანდუკელი**, ოტია გიორგის-ძე. | ვენახი ზომით—7 დეს. | Თფ. გუბ. დუშეთის უეზდ. სოფ. არაგვისპირი. |
| **გაჩნაძე**, გრიგოლ ნიკოლოზის-ძე. | ვენახი—1 დეს. და 1200 ოთხ-კუთხ. საჟ. | Თფ. გუბ. სიღნაღის უეზდ. სოფ. ბაკურციხეს. |
| **გახვახიშვილი**, ზაქარია ივანეს-ძე. | ვენახი—7 დეს. 920 ოთხ. კუთხ. საჟ. | Თფ. გუბ. თელავის უეზდ. სოფ. ყურდღელაურს. |
| **მგოროვი**, ივანე ივანეს-ძე. | ვენახი—შენობებით 678 $\frac{82}{200}$ | მე-10 უჩასტკ. მე-2 განყოფ. ქ. თფილის. ნაბირეჟნის ქუჩა. |
| **ვარლამოვი**, ალექსანდრე იაკობის-ძე. | ვენახი—7 დეს. 600 ოთხ-კუთხ. საჟ. | Თფ. გუბ. და უეზდ. დაჩა საგაბაშვილო—თხინვალი. |
| **ერისთავი**, რაფიელ დავითის-ძე. | სათიბე ადგ. და ტყე 204 დეს. და 1200 ოთხ-კუთხ. საჟ. | Თფ. გუბ. თიანეთის უეზდ. დაჩა ბოჭორმა. |
| **მაყაშვილი**, ივანე რამაზის-ძე. | ვენახი—1 დეს. და 1800 ოთხ-კუთხ საჟ. | Თფ. გუბ. თელავის უეზდ. დაჩა რუისპირს დღ ქალთას. |

(დასასრული)

*) „დროება“, №-ში 75

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Апрѣля 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭყონჭყავაძე და ს. მესხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა